პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

-- მარტი 2021 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკენბრის №77 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 04/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016425) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომში - საბჭო) არის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატული აქტებით, ამ დებულებით და გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული საერთაშორისო ვალდებულებებით.

3. საბჭოს წევრთა საქმიანობის ვადად განისაზღვრება მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადა.

4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ დებულებით.

5. საბჭო უფლებამოსილია საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე წარადგინოს საკრებულო გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრებში.

მუხლი 2. საბჭოს ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. საბჭოს ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული ანალიზის დანერგვის ხელშეწყობა;

გ) ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

დ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე) ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სტრატეგიისა და საბჭოს სამოქმედო გეგმის შემუშავება და დასამტკიცებლად საკრებულოსთვის წარდგენა და ამ გეგმის შესრულება/მონიტორინგის უზრუნველყოფა;

ზ) საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წელიწადში ერთხელ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა;

თ) მუნიციპალური პროგრამების ანალიზი და წინადადებების შემუშავება გენდერულად მგრძნობიარე საკითხების წარმოსაჩენად ან არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად (ასეთის შემთხვევაში);

ი) გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციის და სხვა ინფორმაციის განხილვა. მათზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირების მოხდენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

კ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წამოწეული საკითხების შესწავლა/ადვოკატირება;

ლ) საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების უზრუნველყოფა;

მ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 3. საბჭოს შექმნის წესი და შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით ამტკიცებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

2. საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 7 და არაუმეტეს 25 წევრისაგან.

3. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს:

ა) საკრებულოს თანამდებობის პირები;

ბ) საკრებულოს ყველა ქალი წევრი;

გ) საკრებულოს ფრაქციების წევრები, რაოდენობის პროპორციულად;

დ) დამოუკიდებელი დეპუტატები;

ე) მერი ან მერის მოადგილე;

ვ) მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი;

ზ) გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3. საბჭოს შემადგენლობაში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 40%- ზე მეტი.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

3. საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელმა პირებმა.

4. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს:

ა) გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების ორგანიზებას:

ბ) საბჭოს წევრთა წინასწარ ინფორმირებას სხდომის ჩატარების ადგილის, თარიღის და დღის წესრიგის შესახებ;

გ) საბჭოს წევრთა რეგისტრაციას სხდომის დაწყებისას;

დ) სხდომის ოქმების და კორესპონდენციის წარმოებას;

ე) საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს;

ვ) სოციალური მედიისა და საინფორმაციო პორტალებზე საბჭოს საქმიანობისა და გენდერული საკითხების გაშუქების ხელშეწყობას.

მუხლი 5. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს, ამტკიცებს დღის წესრიგს და უძღვება საბჭოს საქმიანობას.

2. საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც.

3. საბჭოს სხდომა ტარდება როგორც წესი ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს (ხოლო, თუ ოთხშაბათი არასამუშაო დღეა, მომდევნო სამუშაო დღეს).

4. საბჭოს სხდომა იწყება დღის - 16.00 საათზე, თუ სხდომის მოწვევის შესახებ სხვა დრო არ იქნა განსაზღვრული.

5. საბჭო იკრიბება საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის ინიციატივით.

6. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

7. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, ასევე საბჭოს წევრებს.

8. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ბ) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი, არსი:

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საბჭოს სტრუქტურისა და შექმნის წესის, სხდომების რეგლამენტირების, აგრეთვე საბჭოს მდივნის ფუნქციების დაზუსტება. აღნიშნულს უკავშირდება წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი.

გ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

გ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას

გ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების პროექტი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტი.

დ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

ე) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ვ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე

ზ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე